

შპს "სათნო"



"SATNO" LTD

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს.

№40  
29.06.2022წელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სათნო“-ს (ს/კ 215110252, რეგისტრირებული: საქართველო, ქ. ფოთი, ლარნაკას ქ., №21), დირექტორის

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო  
01.07.2022წ.  
№ 2833

ბ-ნი თენგიზ სარიშვილის  
მობ: 595 15-55-55  
ელ.ფოსტა: info@Satno.com  
სკრინინგის განცხადება

ბატონო ოთარ,

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სათნო“ (ს/კ 215110252), რეგისტრირებული: საქართველო, ქ. ფოთი, ლარნაკას ქ., №21, გააჩნია 6720მ² ტევადობის 360 000 მ³ წლიური ტვირთბრუნვით ნავთობბაზა, ქ. ფოთში, ლარნაკას ქუჩა #21, ს/კ 04.01.03.736 (GPS კოორდინატში X=226885.00; Y=44672906.00), რომლის წლიური მაქსიმალური წარმადობაა 360 000 მ³ ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემა.

ნავთობბაზაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად გათვალისწინებული იყო ერთი ცალი, 5 ლ/წმ წარმადობის ნავთობდამჭერის მოწყობა.

გარდა აღნიშნული ნავთობდამჭერისა, ნავთობბაზაში მოხდა მეორე ნავთობდამჭერის დამონტაჟებაც, კერძოდ:

#1 ნავთობდამჭერი ემსახურება #1; #2; #3; #6 და #7 ნავთობის რეზერვუარების სარეზერვუარო პარკს, რომლის ფართობია 2469 მ².

#2 ნავთობდამჭერი ემსახურება #4 და #5 რეზერვუარების სარეზერვუარო პარკს, რომლის ფართობია 2320.6 მ².

ვინაიდან, ზემოაღნიშნული ცვლილება წარმოადგენს ექსპლოატაციის პირობების შეცვლას, ამიტომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლოატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა) და შესაბამისად წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად თქვენი შენიშვნების გათვალისწინებით და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით  
თენგიზ სარიშვილი  
დირექტორი



დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;

განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები)  
კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად);